საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/62 " 15 " იანვარი 2018 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

„საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2010 წლის 26 თებერვლის №1/20 გადაწყვეტილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის" მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს დაუწესდეს ყოველთვიური დანამატი 1200 ლარის ოდენობით.".

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი